


# მაკროეკონომიკური პროგნოზები



ეკონომიკური ზრდის ტემპი 2020 – 2024 წწ



წვლილი 2020 წლის ეკონომიკურ ზრდაში:

- რეალური მოხმარება (↓) : -0.7%
- წმინდა ექსპორტი (↑) : +1.6 %
- რეალური ინვესტიციები (↓) : -5.6%

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

## მაკროეკონომიკური პროგნოზები

ივნისი, 2020 წელი

**ანგარიშის შესახებ:** პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მანდატის შესაბამისად, დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური პროგნოზები მიზნად ისახავს წარმოადგინოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროგნოზების ალტერნატიული საპროგნოზო მაჩვენებლები.

**შენიშვნა:** პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ წარმოდგენილი მაკროეკონომიკური პროგნოზები განახლდება საბიუჯეტო პროცესის და საბიუჯეტო ოფისის ანგარიშგების კალენდრის შესაბამისად.

ელ-ფოსტა:

[pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge); [vchalapeikrishvili@parliament.ge](mailto:vchalapeikrishvili@parliament.ge)

# შინაარსი

1.პროგნოზირების მოდელის შესახებ .....	4
2.რეალური სექტორი .....	5
3.ფისკალური სექტორი .....	11
4.საგარეო სექტორი .....	15
5.მონეტარული სექტორი .....	17
დანართი 1: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2020-2024 წლებისთვის (საბაზისო სცენარი).....	19
დანართი 2: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2020-2021 წლებისთვის .....	21
დანართი 3: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2022-2023 წლებისთვის .....	22

## 1. პროგნოზირების მოდელის შესახებ

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ შემუშავებული მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი (PBOMFM) არის თავისებოდად საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ფინანსური პროგრამირებისა და პოლიტიკის მოდელის სტრუქტურასთან, რომელიც ეკონომიკური თეორიებიდან გამომდინარე ერთმანეთთან აკავშირებს ოთხ ძირითად სექტორს:

- რეალური სექტორი
- ფისკალური სექტორი<sup>1</sup>
- საგარეო სექტორი
- მონეტარული სექტორი

საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკურ მოდელში აღნიშნულ სექტორებს შორის კავშირები წარმოდგენილია განტოლებების სახით, რომელიც იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

1. **სააღრიცხვო იგივეობა:** მოიცავს ისეთ განტოლებებს, რომლებიც ასახავს სახელმწიფო ანგარიშსწორების იგივეობებს. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტი უტოლდება მოხმარების, ინვესტიციების, სახელმწიფო დანახარჯებისა და წმინდა ექსპორტის ჯამს.

2. **ეკონომეტრიკული განტოლებები:** ასახავს კავშირებს ცვლადებს შორის, რომელიც ეყრდნობა ეკონომიკურ მოდელებს. მაგალითად, სამომხმარებლო ხარჯების განტოლება ეყრდნობა დაშვებას, რომ რეალურ მშპ-სა და სესხების რეალურ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს გავლენა აქვს სამომხმარებლო ხარჯების მოცულობაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური განტოლებების შესადგენად გამოყენებულია ისეთი ეკონომიკური მოდელები, როგორებიცაა: ავტორეგრესიული მცოცავი საშუალოს მოდელი, ვექტორული ავტორეგრესია, შებლდული ვექტორული შეცდომის შესწორების მოდელი, უმცირეს კვადრატთა მეთოდის შეცდომის შესწორების მოდელი, ბაიესიანური ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი. ამასთანავე, მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელში დაშვებები გაკეთებულია 51 მაკრო-ფისკალურ ცვლადზე, საიდანაც 16 ეგზოგენური დაშვებაა, 31 წარმოადგენს მაკრო-ეკონომეტრიკული მოდელებიდან მიღებულ შეფასებებს (25 - მოდელიდან მიღებული შედეგებია, ხოლო 6 - მათზე დაფუძნებული გაანგარიშებები) და 4 ცვლადის დაშვება გაკეთებულია ექსპერტული შეფასების საშუალებით.

3. **ტექნიკური განტოლებები:** მოიცავს კავშირებს ცვლადებს შორის, რომელიც ეყრდნობა ისტორიული მონაცემებიდან და სტილიზირებული ფაქტებიდან გაკეთებულ დაშვებებს. მაგალითად, მომსახურების ექსპორტის პროგნოზული მონაცემი ეყრდნობა დაშვებას, რომ მომსახურების ექსპორტის წილი მთლიანი ექსპორტის მოცულობაში უტოლდება ბოლო სამი წლის წილის საშუალოს.

მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი ეყრდნობა 1996Q1-2019Q4 წლების კვარტალურ მონაცემებს. მონაცემთა ბაზა შედგენილია შემდეგი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მონაცემებით:

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური** - რეალური სექტორის ცვლადები;

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო** - ფისკალური სექტორის ცვლადები;

**საქართველოს ეროვნული ბანკი** - საგარეო სექტორისა და მონეტარული სექტორის ცვლადები.

<sup>1</sup> მოდელში ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილი აღებულია მთავრობის საშუალოვადიანი პროგნოზებიდან, როგორც ეგზოგენური ცვლადი.

## 2. რეალური სექტორი

**პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 4.8%-ით შემცირდება.** მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 2020 წლისთვის (-4.8%) 0.8 პროცენტული პუნქტით (პპ) ჩამორჩება ეკონომიკური ზრდის მთავრობის პროგნოზს<sup>2</sup> (-4.0%) და განსხვავდება (9.5 პპ-ით ჩამორჩება) საბიუჯეტო ოფისის მიერ 2019 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული საპროგნოზო მაჩვენებლისაგან<sup>3</sup>. მსოფლიოში მიმდინარე კორონა ვირუსით (Covid-19) გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა გლობალური მასშტაბი შეიძინა და თითქმის ყველა ქვეყანაზე, მათ შორის საქართველოზეც მოახდინა გავლენა. გაზრდილი გაურკვევლობის ფონზე პროგნოზირებისათვის აუცილებელია პანდემიასთან დაკავშირებული გარკვეული დაშვებების არსებობა, რომელთა ცვლილებამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პროგნოზის სიზუსტეზე. საბიუჯეტო ოფისის აღნიშნული პროგნოზი ემყარება დაშვებას, რომ საქართველოში ვირუსის გავრცელების პიკი არის 2020 წლის მეორე კვარტალში, ხოლო მესამე კვარტლიდან საქართველოს ეკონომიკა, დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით სწრაფად დაიწყებს აღდგენას. დაშვებისას ასევე მხედველობაშია მიღებული როგორც ქვეყნის შიდა ეკონომიკური აქტივობა, ასევე - საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების<sup>4</sup> ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასებები და პროგნოზი<sup>5</sup>. კერძოდ:

- Covid-19-ის პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებების ფონზე (საგანგებო მდგომარეობა და სხვადასხვა სახის შეზღუდვები) შემცირდა ქვეყნის შიგნით არსებული როგორც მოთხოვნა, ისე მიწოდება. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა წარმოება.
- 2020 წელს ასევე მკვეთრად გაუარესდა საგარეო ეკონომიკური გარემო და შესაბამისად მოსალოდნელია, რომ შემცირდება საგარეო მოთხოვნაც. 2020 წლის აპრილის „მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვის“ მიხედვით -3.0 პროცენტით განისაზღვრა მსოფლიო ეკონომიკური ზრდა და ჩინეთის გარდა (სადაც 1.1 პროცენტით ზრდა არის ნავარაუდები) ყველა ჩვენი ძირითადი სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი კლება არის მოსალოდნელი.
- გარდა ამისა, პანდემიის გამო დაწესებული გლობალური შეზღუდვების გამო, მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად შემცირდება ტურისტული სექტორიც, მკვეთრად შემცირდება როგორც მომსახურების ექსპორტი ისე იმპორტი. ამის პარალელურად მოსალოდნელია რომ, შემცირება შეეხება ასევე საქონლის ექსპორტს და კიდევ უფრო შემცირდება საქონლის იმპორტის მოცულობა, რადგან შიდა აქტივობის და განსაკუთრებით ინვესტიციების მნიშვნელოვანი შემცირების ფონზე შემცირდება შიდა აბსორბცია (ინვესტიციებისა და მოხმარების ჯამი) და შესაბამისად იმპორტზე მოთხოვნა.
- გაცვლითი კურსის გაუფასურების და მაღალი ინფლაციის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა 2019 წლის მეორე ნახევარში გაზარდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, რომლის გარკვეული ეფექტიც 2020 წლის პირველ ნახევარშია მოსალოდნელი. თუმცა აპრილში შერბილებული პოლიტიკის პარალელურად შესაძლებელია კვლავ შერბილებას ჰქონდეს ადგილი, რაც ეკონომიკაზე 2020 წლის მეორე ნახევარში დადებითად იმოქმედებს.

<sup>2</sup> მთავრობის პროგნოზი გულისხმობს 2021-2024წწ. ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ დოკუმენტით წარმოდგენილ საპროგნოზო მაჩვენებლებს, რომელიც საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, 2020 წლის 29 მაისს წარედგინა საქართველოს პარლამენტს. <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/announcements-all/announcements-main/makroekonomikuri-prognozebi.page>


<sup>3</sup> [http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/Macroeconomic\\_Forecasts\\_December.pdf](http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/Macroeconomic_Forecasts_December.pdf)

<sup>4</sup> ევროკავშირი, რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩინეთი, უკრაინა და აშშ.

<sup>5</sup> წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის „მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა“ აპრილი 2020“ (WEO April 2020) <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/04/14/weo-april-2020>

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში (2021-2024 წლებისთვის) ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 5.5%-ს შეადგენს, რაც 0.3 პროცენტული პუნქტით მეტია ოფისის მიერ 2020 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული ანალოგიური მარჯვენებისგან. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია იმით, რომ 2021 წელს მოსალოდნელია ეკონომიკის მნიშვნელოვანი გამოცოცხლება და საბაზისო ეფექტის გათვალისწინებით მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპია მოსალოდნელი. ამას ასევე განაპირობებს 2020 წელთან შედარებით სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის საკმაოდ ოპტიმისტური შეფასებები<sup>6</sup>. 2020 წელს ეკონომიკური აქტივობის კლებაში ყველაზე დიდი უარყოფითი წვლილი რეალური ინვესტიციების მხრიდან არის მოსალოდნელი, მაშინ როცა, შემცირებული საგარეო სავაჭრო აქტივობის მიუხედავად სავაჭრო ბალანსის მშპ-ზე დადებითი გავლენაა მოსალოდნელი. თუმცა აღსანიშნავია, რომ საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკურ ზრდაში წარმმართველ როლს კვლავ შიდა მოხმარება და ინვესტიციები ასრულებს.

რაც შეეხება მთავრობის საპროგნოზო მარჯვენებელს ანალოგიური პერიოდისათვის, 2021-2024 წლებში საშუალო ეკონომიკური ზრდის სამთავრობო პროგნოზი 5.3%-ს უტოლდება, რაც ასევე 0.3 პროცენტული პუნქტით აღემატება მათ 2019 წლის დეკემბრის ანალოგიურ პროგნოზს. მთავრობის პროგნოზის მიხედვით მნიშვნელოვანი გამოცოცხლება ეკონომიკაში 2022 წლიდან არის მოსალოდნელი. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ზრდის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზი საშუალოვადიანი პერიოდისათვის ითვალისწინებს მთავრობის საშუალოვადიან პერიოდში არაფინანსური აქტივების (ე.წ. კაპიტალური ხარჯები) საპროგნოზო/დაგეგმილ ზრდას, რომლის ფაქტობრივმა დინამიკამ, შესაძლოა, შესაბამისი გავლენა მოახდინოს ოფისის საპროგნოზო მარჯვენებლების ფაქტობრივ რეალიზებაზე.




დიაგრამა 1: რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი.

საინტერესოა მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობის დინამიკის კავშირი ეკონომიკურ აქტივობასთან, რომლის შესაფასებლადაც მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ, რამდენად შეესაბამება მიმდინარე ეკონომიკური ზრდა იმ პოტენციალს, რომელიც ქვეყანას თავისი რესურსების ოპტიმალური ათვისებისა და გამოყენების პირობებში ექნებოდა. ყველაზე

<sup>6</sup> წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის „მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა“ აპრილი 2020“ (WEO April 2020) <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/04/14/weo-april-2020>

მართებულია, გაანგარიშდეს ე.წ. პოტენციური მშპ და შედარდეს ფაქტობრივ მდგომარეობას. ეს სხვაობა რეალურ და პოტენციურ მშპ-ს შორის იქნება ე.წ. მშპ-ის გაპი<sup>7</sup>.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2020 წლისთვის მშპ-ის პოტენციური დონისაგან მნიშვნელოვანი გადახრა დაფიქსირდება (-3.8%), მაშინ როდესაც დეკემბერში მოველოდით, რომ უარყოფითი გაპი მხოლოდ -0.3% უნდა ყოფილიყო. მოსალოდნელია, რომ საშუალოვადიან პერიოდში უარყოფით გაპს კლების ტენდენცია იქნება და 2023 წლისთვის თითქმის დაიხურება, 2024 წელს კი მცირედით დადებითი იქნება<sup>8</sup>, ანუ რეალური მშპ პოტენციურ დონეს უმნიშვნელოდ გადააჭარბებს.



დიაგრამა 2: რეალური მშპ-ის გაპი.


რაც შეეხება ნომინალურ მშპ-ს ერთ სულზე, მისი საპროგნოზო მოცულობა 2020 წლისთვის 13,510 ლარს, ხოლო 2024 წლისათვის - 19,544 ლარს შეადგენს. აღნიშნული მარჯვენა მხარეების საშუალოვადიან პერიოდში მცირედით აღემატება მთავრობის პროგნოზებს.

საბიუჯეტო ოფისი

ფინანსთა სამინისტრო


<sup>7</sup> დამატებით, მშპ-ს გაპის შესახებ იხ. <http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/KP0215.pdf>

<sup>8</sup> მშპ-ის პოტენციური დონე შეფასებულია „კალმანის ფილტრის“ გამოყენებით. პოტენციური დონის შეფასების მეთოდოლოგიისათვის იხილეთ საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია: ["ფისკალური პოლიტიკის შეფასება საქართველოსათვის: მიმართულება, ციკლურობა, მანევრირების რესურსი"](#).



დიაგრამა 3: მშპ ერთ სულზე, ნომინალური.


საბიუჯეტო ოფისის შეფასებით მიუხედავად რეალური მშპ-ს კლებისა, ფასების ზრდის ეფექტით 2020 წელს ნომინალური მშპ უმნიშვნელოდ (0.6%-ით) გაიზარდა და 50,305 მლნ ლარს მიაღწევს. იგი 2,819 მლნ ლარით ჩამორჩება 2019 წლის დეკემბერში გაკეთებულ საბიუჯეტო ოფისის საპროგნოზო მაჩვენებელს. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად მთავრობის მიერ პროგნოზირებული განსხვავებული რეალური ეკონომიკური ზრდის ტემპისა, მათი ინფლაციის მაჩვენებელი ნაკლებია 2020 წლისათვის, რის გამოც ნომინალური მშპ-ს მაჩვენებელი თითქმის არ განსხვავდება საბიუჯეტო ოფისის მაჩვენებლისაგან, თუმცა საშუალოვადიან პერიოდში სულ ჩამორჩება ოფისის პროგნოზს.




დიაგრამა 4: ნომინალური მშპ მლნ ლარი.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ე.წ. „საორიენტაციო ტრაექტორიის“ გათვალისწინებით, 2020 წლისთვის ინფლაცია კვლავ მიზნობრივ მაჩვენებელზე მეტი იქნება და 5.0%-ს მიაღწევს. მოსალოდნელი იყო, რომ 2019 წლის მეორე

ნახევარში გაზრდილი სამომხმარებლო ფასების პირობებში 2020 წლის პირველ და მეორე კვარტალში (2019 წლის დაბალი ბაზიდან გამომდინარე) ფასების ზრდის ტემპის მაღალი დონე შენარჩუნდებოდა და მესამე კვარტლიდან შემცირებას დაიწყო, თუმცა Covid-19-ის მიერ გამოწვეული ერთობლივი მიწოდების შოკის გამო, ამ პერიოდში ინფლაცია პროგნოზირებულ მაჩვენებელზე მაღალი დაფიქსირდა. მოსალოდნელია, რომ იგი ერთობლივი მოთხოვნის შოკის რეალიზების, ნავთობის მსოფლიო ფასების კლების და გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის კომბინაციის შედეგად მესამე კვარტლიდან შემცირებას დაიწყებს და მეოთხე კვარტლისათვის ინფლაცია მიზნობრივი მაჩვენებლის სიახლოვეს დაფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტორების გამო, 2019 წლის დეკემბერში საბიუჯეტო ოფისის მიერ გამოქვეყნებულ პროგნოზთან შედარებით, მოსალოდნელი ინფლაცია 0.8 პპ-ით არის გაზრდილი. მთავრობის პროგნოზით 2020 წელს ინფლაცია 4.7% იქნება, შემდეგ წელს 3.6%-მდე შემცირდება, ხოლო საშუალოგადაიან პერიოდში ეროვნული ბანკის მიზნობრივი 3%-იანი მაჩვენებლის ტოლი იქნება. გასათვალისწინებელია, რომ როგორც მონეტარული პოლიტიკის, ასევე - საგარეო ფაქტორების განსხვავებულმა ცვლილებამ, შესაძლებელია, განაპირობოს განსხვავებები საპროგნოზო მაჩვენებლებისაგან.




დიაგრამა 5: სამომხმარებლო ფასების ინდექსები, პერიოდის საშუალო.



დიაგრამა 6: მშპ-ის დეფლატორი.


საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, მიუხედავად მთავრობის საინვესტიციო აქტივობებისა, 2020 წელს ინვესტიციების მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი 2.7 პროცენტული პუნქტით შემცირდება, თუმცა საშუალოვადიან პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმაპირობებელ კომპონენტს მთლიანი ინვესტიციების ზრდა წარმოადგენს, რომელთა წყარო ეროვნული დანაზოგებია (დანარჩენი მსოფლიოსგან მიღებულ სესხებთან ერთად) და რომელთა ცვლილება, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სხვა მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ცვლადებზე. **საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, კერძო ინვესტიციების მშპ-სთან ფარდობა 2021 წლისათვის მშპ-ის 18.3%-ს მიაღწევს და საშუალოვადიან პერიოდში მუდმივად გაიზრდება.** ზრდის ტრენდი ექნება კერძო დანაზოგების მშპ-სთან ფარდობასაც, 2021 წლისთვის იგი მშპ-ის 16.5%-ს, ხოლო 2023 წლისათვის - 19.2%-ს მიაღწევს. აღსანიშნავია, რომ საშუალოვადიან პერიოდში მთლიანი დანაზოგები კვლავ არ იქნება საკმარისი მთლიანი ინვესტიციების დასაფინანსებლად, ამიტომ ინვესტიციები დანარჩენი მსოფლიოსგან მიღებული სესხებით დაფინანსდება (მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი ბალანსი). **რაც შეეხება მთავრობის პროგნოზს, 2020 წლისათვის კერძო ინვესტიციების მშპ-სთან ფარდობის ზრდა არის მოსალოდნელი და საშუალოვადიან პერიოდში იგი 21.2%-ის ფარგლებში იქნება.**




დიაგრამა 7: კერძო ინვესტიციები, მშპ-სთან შეფარდება.

### 3. ფისკალური სექტორი

ფისკალური გარემოს ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ბიუჯეტის მთლიანი სალდოს მოცულობა როგორც საშუალოვადიან, ასევე - გრძელვადიან პერიოდში. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2020 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს (GFSM 2001) მშპ-სთან მოსალოდნელი ფარდობა -9.4%-ს შეადგენს (დეკემბრის პროგნოზით იგი -1.6% იყო). ამასთან, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ე.წ. მოდიფიცირებული დეფიციტის მანგვნებელი (რომელიც ცალკეული მუხლების რეკლასიფიკაციით მიიღება და გამოიყენება IMF-ის პროგრამაში) 2020 წლისთვის 9.7%-ს გაუტოლდება.



დიაგრამა 8: ბიუჯეტის მთლიანი სალდო, მშპ-სთან შეფარდება.




დიაგრამა 9: მოდიფიცირებული დეფიციტი, მშპ-სთან შეფარდება.

ბიუჯეტის მთლიანი სალდოს მარგენებლის მშპ-სთან ფარდობა 1.2 პპ-ით ნაკლებია მთავრობის მიერ წარმოდგენილ შესაბამის მარგენებლებზე, რაც გამოწვეულია ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებისა და ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მარგენებლებს შორის განსხვავებით. აქედან გამომდინარე, როგორც საბიუჯეტო ოფისის, ისე მთავრობის პროგნოზით 2021-2023 წელს ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის 3%-ზე მეტი იქნება. 2024 წელს მთავრობის მიხედვით დეფიციტი ჩამოცდება 3%-იან ნიშნულს, თუმცა საბიუჯეტო ოფისის შეფასებით იგი კვლავ 3%-ზე მაღალი დარჩება.

აქვე ხაზგასასმელია რომ, როგორც უკვე აღინიშნა, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯით ნაწილთან დაკავშირებით პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზების საბაზისო სცენარი ეყრდნობა ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ დოკუმენტში მთავრობის მიერ განსაზღვრულ ფისკალურ გეგმას საშუალოვადიანი პერიოდისათვის<sup>9</sup>.

აგრეთვე, საშუალოვადიანი პერიოდისათვის მნიშვნელოვანია, შევადგათ ფისკალური ინდიკატორები ეკონომიკური განვითარების ტენდენციებთან მიმართებით<sup>10</sup>, კერძოდ - დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის მიმართულება და კავშირი ეკონომიკურ ციკლთან<sup>11</sup>.

საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2020-2023 წლებში ბიუჯეტის დეფიციტს (ციკლურად შესწორებული პირველადი მთლიანი სალდო) და შესაბამისად, დადებით ფისკალურ პოზიციას ემთხვევა მშპ-ის უარყოფითი გაპი, რაც ანტიციკლური ფისკალური ექსპანსიაა და პასუხობს მდგრადი ეკონომიკური განვითარების კარგ პრაქტიკას (ეკონომიკის სტიმულირება შენელების დროს). 2024 წელს მშპ-ის გაპი დადებითი ხდება, თუმცა ბიუჯეტი კვლავ დეფიციტურია, რაც პროციკლურ ფისკალურ პოლიტიკაზე მიუთითებს, ანუ ხდება ეკონომიკის სტიმულირება ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების დროს.



<sup>9</sup> <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/announcements-all/announcements-main/makroekonomikuri-prognozebi.page>


<sup>10</sup> კვლევა ეყრდნობა დაშვებას, რომ ხარჯვითი პოლიტიკა სრულად დისკრეციულია: გადაწყვეტილებები ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესახებ არ მიიღება ეკონომიკური ციკლების მიხედვით.

<sup>11</sup> იხილეთ საბიუჯეტო ოფისის კვლევითი პუბლიკაცია: "ფისკალური პოლიტიკის შეფასება საქართველოსათვის: მიმართულება, ციკლურობა, მანევრირების რესურსი".

დიაგრამა 10: ფისკალური პოზიცია.


საგადასახადო შემოსავლებთან დაკავშირებით, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2020 წლისათვის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 10,177 მლნ ლარს შეადგენს, რაც 2,319 მლნ ლარით ჩამორჩება საბიუჯეტო ოფისის მიერ დეკემბერში გაკეთებულ 2020 წლის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელს და 584 მლნ ლარით ნაკლებია ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ დოკუმენტით წარმოდგენილ პროგნოზთან შედარებით (10,761 მლნ ლარი). აღნიშნული ძირითადად განპირობებულია პირდაპირ გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლებს შორის არსებული განსხვავებით<sup>12</sup>. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2020 წლისთვის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა მშპ-ის 20.2%-ს მიაღწევს, მთავრობის პროგნოზი კი 21.4%-ია. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზის თანახმად, 2021-2024 წლებისათვის საგადასახადების შეფარდება მშპ-სთან საშუალოდ 21.5% იქნება.

საგადასახადო შემოსავლების კომპონენტების დონეზე ანალიზისას აღსანიშნავია, რომ



საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2020 წელს 2.0 კპ-ით გაიზრდება პირდაპირი გადასახადების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში (42%). შესაბამისად, არაპირდაპირი გადასახადების წილი 58%-ი იქნება. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2021-2024 წლებში თანდათან მოიმატებს პირდაპირი გადასახადების და დაიკლებს არაპირდაპირი გადასახადების წილი. აღსანიშნავია, რომ მოცემული საშუალოვადიანი პროგნოზები ეყრდნობა არსებულ ფისკალურ პოლიტიკას და გათვალისწინებულია 2017-2020 წლებში განხორციელებული საგადასახადო და საპენსიო რეფორმები. საბიუჯეტო პოლიტიკის შემდგომმა ცვლილებებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს განსხვავებები აღნიშნული პროგნოზებისაგან.


დიაგრამა 11: საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (საბიუჯეტო ოფისი)




რაც შეეხება მთავრობის საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურას, მოსალოდნელია, რომ 2020 წლისათვის 40%-დან 44%-მდე იზრდება პირდაპირი გადასახადების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში და საშუალოვადიან პერიოდში ამ დონეზე ნარჩუნდება.

<sup>12</sup> პირდაპირი გადასახადები ასევე მოიცავს სხვა გადასახადების საპროგნოზო შემოსავლებს.

დიაგრამა 12: საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (ფინანსთა სამინისტრო)



დიაგრამა 13: საგადასახადო შემოსავლები, მშპ-სთან შეფარდება.




დიაგრამა 14: საგადასახადო შემოსავლები, მილიონი ლარი.

#### 4. საგარეო სექტორი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2020 წლისთვის საგადასახდელ ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მოსალოდნელი დეფიციტი მშპ-ის 5.5%-ია, რაც 0.1 კპ-ით ჩამორჩება ოფისის 2019 წლის დეკემბრის პროგნოზს (5.6%), ხოლო მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებელი მშპ-ის 11.6%-ს შეადგენს. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 2021 წელს უმნიშვნელოდ გაუარესდება, შემდეგ გაუმჯობესებას დაიწყებს და საშუალოდ მშპ-ს -6.6%-ის ფარგლებში ჩამოყალიბდება, ხოლო მთავრობის პროგნოზის მიხედვით დეფიციტი მუდმივად კლების ტენდენციით ხასიათდება.

როგორც საბიუჯეტო ოფისის (თუ 2021 წლის გაუარესებას არ ჩავთვლით) ისე მთავრობის პროგნოზების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მოსალოდნელი კლების მთავარი მამოძრავებელი ძალა შიდა დანაზოგების საპროგნოზო ზრდაა.<sup>13</sup> მიუხედავად იმისა, რომ საანგარიშო პერიოდში იზრდება მშპ-ში ინვესტიციების წილიც, დანაზოგების ზრდის ტემპი არამხოლოდ აკომპენსირებს ამ ზრდას, არამედ მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესებასაც უზრუნველყოფს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კერძო დანაზოგების ზრდა.



დიაგრამა 15: მიმდინარე ანგარიშის ბალანსი, მშპ-სთან შეფარდება.


რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის კომპონენტებს:

- საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფორმირების უმნიშვნელოვანესი განმაპირობებელი ფაქტორი სავაჭრო ბალანსის მოსალოდნელი დინამიკაა. Covid-19-ით გამოწვეული ზემოთ აღწერილი პრობლემებიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად შემცირდება ექსპორტის მოცულობა, თუმცა ამავე დროს მნიშვნელოვანი კლებაა მოსალოდნელი იმპორტშიც, რაც შიდა ეკონომიკური აქტივობის შემცირებითაა განპირობებული. ყოველივე აქედან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ საგარეო

<sup>13</sup> მიმდინარე ანგარიშის ბალანსი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მთლიანი ინვესტიციებისა და მთლიანი დანაზოგების სხვაობა - დეფიციტი ნიშნავს, რომ დანაზოგები არაა საკმარისი ინვესტიციების დასაფინანსებლად და ქვეყანა სესხს იღებს დანარჩენი მსოფლიოსგან.


ვაჭრობის მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდება, თუმცა, სავაჭრო ბალანსი უმნიშვნელოდ გაუმჯობესდება. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, სავაჭრო დეფიციტი 2020 წელს მშპ-ის 7.3%-ს მიაღწევს, მთავრობის პროგნოზით კი დეფიციტი 14.6% იქნება. მიმდინარე ანგარიში და განსაკუთრებით სავაჭრო ბალანსი საშუალოვადიან პერიოდში გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის შიდა მიწოდება უკეთ უზრუნველყოფს მთლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

- მთავრობის პროგნოზით, მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესების წყარო ძირითადად პირველადი შემოსავლის (ე.წ ფაქტორული შემოსავლების) მუხლის გაუმჯობესება იქნება, ხოლო სავაჭრო დეფიციტი საშუალოვადიანი პერიოდისათვის მშპ-ის 11%-ის ფარგლებში მოსალოდნელი.



დიაგრამა 16: სავაჭრო ბალანსი, მშპ-სთან შეფარდება.


რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროებს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2020 წლისთვის წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადების მოსალოდნელი მოცულობა 304 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდება და საშუალოვადიან პერიოდში გაიზრდება, ხოლო ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადები 361 მლნ აშშ დოლარი იქნება და საანალიზო პერიოდში მოსალოდნელია თავდაპირველად ზრდა და 2024 წელს უმნიშვნელო კლებას ექნება ადგილი.




დიაგრამა 17: წმინდა კერძო და კაპიტალური ნაკადები, მლნ აშშ დოლარი.

## 5. მონეტარული სექტორი

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2020 წლისთვის ფულის მასა M3 აგრეგატის მოცულობა 24,694 მლნ ლარს გაუტოლდება, ხოლო ზრდის წლიური ტემპი - 1.3%-ს. თავის მხრივ, ფულის მასა M2 აგრეგატის მოსალოდნელი მოცულობა 11,613 მლნ ლარია, ზრდა კი - 1.0%.




დიაგრამა 18: ფულის მასის M3 ზრდის ტემპი.




დიაგრამა 19: ფულის მასის M2 ზრდის ტემპი.

საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2020 წლისათვის მოსალოდნელია საერთაშორისო რეზერვების 1.6%-ით ზრდა. შესაბამისად, 2020 წელს რეზერვების მოცულობა 3,562 მლნ აშშ დოლარს მიაღწევს (4.7 თვის იმპორტის ჯერადი), ხოლო 2021-2024 წლების საშუალო მოცულობა 3,844 მლნ აშშ დოლარია.



დიაგრამა 20: საერთაშორისო რეგარვები, მლნ აშშ დოლარი.

რაც შეეხება კერძო სექტორზე გაცემულ სესხებს, საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2020 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი 35,036 მლნ ლარს მიაღწევს, რაც მეტია სამთავრობო პროგნოზთან შედარებით. აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდება საშუალოვადიან პერიოდშიც. აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ოფისის პროგნოზი ითვალისწინებს 2020 წელს შექმნილ ვითარებასა და სესხების გაცემასთან დაკავშირებული სამთავრობო პოლიტიკის შესაძლო ეფექტს. შესაბამისად, სასესხო პორტფელის ზრდის მიუხედავად, 2020 წლის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მის საშუალო მაჩვენებელს.



დიაგრამა 21: კერძო სექტორზე გაცემული სესხები. ნაშთები. მლნ ლარი.

დანართი 1: საბიუჯეტო ოფისის დეტალური მაკროეკონომიკური პროგნოზები 2020-2024 წლებისთვის (საბაზისო სცენარი)<sup>14</sup>

	2017 ფაქტი	2018 ფაქტი	2019 ფაქტი	2020 PBO მოსალოდნელი	2021 PBO პროგნოზი	2022 PBO პროგნოზი	2023 PBO პროგნოზი	2024 PBO პროგნოზი
<b>რეალური სექტორი</b>	%-ული ზრდა							
რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი	4.8%	4.9%	5.1%	-4.8%	6.1%	5.2%	5.4%	5.4%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	6.0%	2.6%	4.9%	5.0%	3.0%	3.3%	3.2%	3.2%
მშპ დეფლატორი	8.4%	4.3%	6.4%	5.7%	4.2%	4.0%	3.8%	3.6%
<b>ნომინალური მშპ</b>								
მილიონი ლარი	40,762	44,599	50,002	50,305	55,682	60,930	66,640	72,772
მილიონი აშშ დოლარი	16,277	17,581	17,683	16,586	19,345	20,958	23,422	26,228
<b>მშპ ერთ სულ მოსახლეზე</b>								
ლარი	10,934	11,968	13,429	13,510	14,954	16,364	17,897	19,544
დოლარი	4,366	4,718	4,749	4,454	5,195	5,629	6,290	7,044
	% მშპ-სთან							
აბსორბცია	111.0	110.6	108.9	107.2	108.4	107.4	106.5	106.1
მომხმარება	83.7	82.5	82.1	84.9	83.4	81.8	80.1	78.4
კერძო	75.9	75.2	75.2	77.8	76.5	75.1	73.5	72.1
სახელმწიფო	7.8	7.3	6.9	7.1	6.9	6.7	6.6	6.3
ინვესტიციები	27.3	28.1	26.8	22.4	24.9	25.6	26.5	27.7
კერძო	21.6	21.7	18.9	16.2	18.3	19.5	20.8	22.3
სახელმწიფო	5.7	6.4	7.9	6.2	6.6	6.2	5.6	5.4
მთლიანი ეროვნული დანახოვი	19.3	21.4	21.7	17.0	17.8	18.9	20.3	21.8
სახელმწიფო	4.2	5.2	4.8	-3.4	1.3	1.4	1.5	2.0
კერძო	15.1	16.2	16.9	20.4	16.5	17.6	18.8	19.8
<b>ფისკალური სექტორი</b>	მლნ ლარი							
შემოსავლები და გრანტები	10,921	11,822	12,907	11,556	13,326	14,662	15,903	17,386
საგადასახადო შემოსავლები	9,779	10,506	11,418	10,177	11,898	13,094	14,345	15,818
პირდაპირი გადასახადები	4,134	4,540	4,593	4,246	4,826	5,506	6,086	6,859
არაპირდაპირი გადასახადები	5,645	5,966	6,825	5,931	7,072	7,589	8,259	8,959
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	11,508	12,351	14,466	16,411	16,309	17,578	18,666	19,864
მიმდინარე ხარჯები	9,194	9,493	10,519	13,179	12,609	13,828	14,916	15,964
კაპიტალური ხარჯები	2,314	2,858	3,947	3,232	3,700	3,750	3,750	3,900

<sup>14</sup> ხარჯების, არაფინანსური აქტივების და ვალის ნომინალური მონაცემები აღებულია მთავრობის 2021-2024წწ. ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ დოკუმენტიდან

საოპერაციო სალდო	1,727	2,329	2,388	-1,623	717	834	987	1,422
მთლიანი სალდო	-358	-323	-1,353	-4,705	-2,733	-2,666	-2,513	-2,228
სახელმწიფო ვალი	19,064	25,365	20,577	27,582	28,282	31,507	32,668	34,499
საგარეო	14,237	19,434	15,750	21,651	20,921	22,716	22,447	22,848
საშინაო	4,827	5,931	4,827	5,931	7,361	8,791	10,221	11,651
ფისკალური ბალანსი	-1,242	-955	-1,464	-4,855	-2,918	-2,801	-2,648	-2,363
<b>% მშპ-სთან</b>								
შემოსავლები და გრანტები	26.8%	26.5%	25.8%	23.0%	23.9%	24.1%	23.9%	23.9%
საგადასახადო შემოსავლები	24.0%	23.6%	22.8%	20.2%	21.4%	21.5%	21.5%	21.7%
პირდაპირი გადასახადები	10.1%	10.2%	9.2%	8.4%	8.7%	9.0%	9.1%	9.4%
არაპირდაპირი გადასახადები	13.8%	13.4%	13.6%	11.8%	12.7%	12.5%	12.4%	12.3%
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	28.2%	27.7%	28.9%	32.6%	29.3%	28.8%	28.0%	27.3%
მიმდინარე ხარჯები	22.6%	21.3%	21.0%	26.2%	22.6%	22.7%	22.4%	21.9%
კაპიტალური ხარჯები	5.7%	6.4%	7.9%	6.4%	6.6%	6.2%	5.6%	5.4%
საოპერაციო სალდო	4.2%	5.2%	4.8%	-3.2%	1.3%	1.4%	1.5%	2.0%
მთლიანი სალდო	-0.9%	-0.7%	-2.7%	-9.4%	-4.9%	-4.4%	-3.8%	-3.1%
სახელმწიფო ვალი	46.8%	56.9%	41.2%	54.8%	50.8%	51.7%	49.0%	47.4%
საგარეო	34.9%	43.6%	31.5%	43.0%	37.6%	37.3%	33.7%	31.4%
საშინაო	11.8%	13.3%	9.7%	11.8%	13.2%	14.4%	15.3%	16.0%
ფისკალური ბალანსი	-3.0%	-2.1%	-2.1%	-9.7%	-5.2%	-4.6%	-4.0%	-3.2%
<b>მონეტარული სექტორი</b>								
%-ად მშპ-სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული								
წმინდა უცხოური აქტივები	4.3%	-0.4%	-0.7%	-1.2%	0.0%	0.7%	1.0%	1.3%
წმინდა საშინაო აქტივები	40.3%	46.9%	49.5%	50.3%	50.6%	50.0%	50.1%	50.3%
ფართო ფული M3	44.7%	46.5%	48.8%	49.1%	50.5%	50.6%	51.2%	51.5%
ფართო ფული M2	20.5%	21.7%	23.0%	23.1%	24.6%	25.0%	25.6%	26.1%
<b>საგარეო სექტორი</b>								
%-ად მშპ-სთან, თუ სხვა რამ არ არის მითითებული								
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი	-8.1%	-6.8%	-5.1%	-5.5%	-7.2%	-6.8%	-6.2%	-6.0%
სავაჭრო ბალანსი	-11.0%	-10.6%	-8.9%	-7.3%	-8.4%	-7.5%	-6.6%	-6.2%
ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	3,039.0	3,289.8	3,505.8	3,562.5	3,624.2	3,683.2	3,806.6	4,262.8
იმპორტის ტერადი	3.9	3.7	3.8	4.7	3.9	3.6	3.3	3.3

წმინდა კერძო კაპიტალური და ფინანსური ნაკადები (მლნ აშშ დოლარი)	954.8	394.8	390.6	304.1	782.3	888.6	980.6	1,071.8
--	-------	-------	-------	-------	-------	-------	-------	---------

დანართი 2: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2020-2021 წლებისთვის

	2020 წელი				2021 წელი			
	ივნისი 2020		დეკემბერი 2019		ივნისი 2020		დეკემბერი 2019	
	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი
რეალური მშპ (%-ული ზრდა)	-4.0%	-4.8%	4.5%	4.7%	4.0%	6.1%	5.0%	5.2%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	4.7%	5.0%	3.0%	4.2%	3.6%	3.0%	3.0%	3.1%
მშპ დეფლატორი	4.8%	5.7%	3.5%	4.0%	4.2%	4.2%	3.0%	3.2%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	50,303	50,305	53,081	53,124	54,507	55,682	57,407	57,653
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	10,761	10,177	12,305	12,496	12,106	11,898	13,282	13,424
პირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	4,715	4,246	5,332	5,338	5,251	4,826	5,751	5,861
არაპირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	6,046	5,931	6,973	7,159	6,855	7,072	7,531	7,563
ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (მლნ ლარი)	-4,118	-4,705	-1,257	-859	-2593	-2,733	-1243	-1,133
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-11.6%	-5.5%	-3.5%	-5.6%	-8.8%	-7.2%	-3.5%	-6.4%
სავაჭრო ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-14.6%	-7.3%	-7.0%	-8.9%	-12.5%	-8.4%	-7.0%	-9.1%
ექსპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	-6.8%	-18.3%	10.3%	9.7%	9.5%	23.2%	10.1%	11.7%
იმპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	0.7%	-18.9%	8.3%	10.7%	6.0%	24.7%	10.5%	11.6%
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	3,574	3,562	3,997	3,889	3,789	3,624	4,436	4,339
ფულის მასა M3 (მლნ ლარი)	23,305	24,694	29,464	28,888	26,193	28,138	33,518	33,228
ფულის მასა M2 (მლნ ლარი)	11,160	11,613	13,905	13,930	12,782	13,707	16,097	16,499

დანართი 3: ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ცვლილება, 2022-2023 წლებისთვის

	2022 წელი				2023 წელი			
	ივნისი 2020		დეკემბერი 2019		ივნისი 2020		დეკემბერი 2019	
	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი	მთავრობა	საბიუჯეტო ოფისი
რეალური მშპ (%-ული ზრდა)	6.0%	5.2%	5.0%	5.4%	5.8%	5.4%	5.5%	5.4%
სამომხმარებლო ფასების ინფლაცია	3.0%	3.3%	3.0%	3.2%	3.0%	3.2%	3.0%	3.0%
მშპ დეფლატორი	3.0%	4.0%	3.0%	3.3%	3.0%	3.8%	3.0%	3.4%
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	59,511	60,930	62,085	62,793	64,821	66,640	67,465	68,426
საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	13,490	13,094	14,367	14,416	14,928	14,345	15,596	15,754
პირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	5,853	5,506	6,242	6,469	6,486	6,086	6,795	7,129
არაპირდაპირი გადასახადები (მლნ ლარი)	7,637	7,589	8,125	7,948	8,442	8,259	8,801	8,625
ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (მლნ ლარი)	-2,397	-2,666	-1,398	-1,253	-1,947	-2,648	-1,491	-1,202
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-7.3%	-6.8%	-6.0%	-5.7%	-6.3%	-6.2%	-6.9%	-5.9%
სავაჭრო ბალანსი (%-ად მშპ-სთან)	-11.4%	-7.5%	-3.2%	-8.5%	-10.9%	-6.6%	-3.2%	-7.9%
ექსპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	11.7%	12.4%	10.1%	12.2%	11.3%	13.6%	10.9%	13.8%
იმპორტი (%-ული ცვლილება წინა წელთან, აშშ დოლარი)	9.6%	10.2%	10.5%	11.1%	10.0%	11.5%	11.3%	12.3%
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,130	3,683	4,925	4,821	4,543	3,807	5,466	5,416
ფულის მასა M3 (მლნ ლარი)	30,502	30,856	38,131	37,867	35,310	34,098	43,901	43,038
ფულის მასა M2 (მლნ ლარი)	15,128	15,245	18,634	19,280	17,806	17,068	21,810	22,456